წელიწადი 1-ლი   გაზ. ფასი 10 კ.   ტელეფონი № 76   შაბათი ივნისს 24 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი რად. 15 მან.
ნახევარი წლით 8 მან.
თვიურათ 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტი ღირს 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭ... თითოჯერ ... 2 საათ. 5 მ.
... 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ტფილისს მ. ს. მიქელაძის ს.
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 62   ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი   № 62

ღრმად დამწუხრებული უბედური დედ-მამა მარო და მიხაკო საყვარელიძეები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ორმოცი დღის წირვასა და პანაშვიდს მათის უდროოდ დაკარგული უსაყვარლესი შვილის

ზესიკა საყვარელიძის

სულის მოსახსენებლათ რომელიც იქნება გადახდილი ამა ივნისის ოცდაცხრას დღით ხუთშაბათს სოფელ ჯგილათში მთავარანგელოზის ეკლესიაში.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან 22 ივნისიდან 1917 წ. ნაჩვენები იქნება საგულისხმიერო სურათი

ებრაელები

გამოჩენილ მწერლისა ე. ჩირიკოვის. კინო დრამა 5 ნაწ. მონაწილეობით ვ. პავლოვისა, ვ. ნერონოვის, ა. მოროზოვის და ა. ლეონტიევის. დადგმა ამ პიესისა აკრძალული იყო ძველი რეჟიმისაგან.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

საზაფხულო შენობა.

22 ივნისს 1917 წ. ნაჩვენები იქნება საგულისხმიერო სურათი

ბაყიდული დიდება

მხატვრული დრამა 6 ნაწ. ლ. ნიკულინის სცენარიუსობით.

ეროვნულ-დემოკრატიულ

პარტიაში ჩაწერა

შეიძლება ამავე პარტიის სალექციო დარბაზში (ვორონცოვის ქ. ოცხელის შენობა, ბაღის პირდაპირ) დილის 10—2 საათამდის და საღამოს 5—10 საათამდის და აგრეთვე

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში

(ტფილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახლი) დილის 9—2 საათამდის და საღამოს 5—8 საათამდის.

ხელის მომწერთა — საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთების გზავნა.

სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეჟიმოვებისა.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.



შაბათს 24 ივნის გაიმართება გრანდიოზული სასპორტო წარმოდგენა, გასტროლები გამოჩენილ ბელგეთის დასისა

5 კლიკეტი,

და აგრეთვე გასტროლები პეტრაკოვსკებისა.

35 დღეა ქალთა ფრანგული ჭიდაობა. პირველი გამოსვლა მოჭიდავე ჩემპიონი ქალის ლუციასი

დღეს იჭიდავებს 3 წყვილი

1. ვახტუროვა და პეტერსონი. 2. იანკოვსკაია და ბელანი. 3. რომანოვა და ივერი.

დასაწყისი 8 ნახევარ საათზე საღამოს. ჭიდაობის დასაწყისი 10 საათზე.

ანონსი: მზადდება გრანდიოზული ბენეფისი ხუმარასი ფლორენსის და კრისტის. ამ მოკლე ხანში ჩამოვლენ გამოჩენილი მოჭიდავე ქალები დუცია და პიტლია.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, გიტემინსკის სახლი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

გამოცდილი მასწავლებელი

(სტუდენტი) ამზადებს მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისთვის.

ნახვა შეიძლება ფერაძისა და კარნაუხოვის სტამბაში დილის 11 საათიდან 3 ს.

თ—1

## დღეს:

**წერილები:**

ტრ. ჯაფარიძე — მოვემზადოთ.

ს. მ. — იურიდიული საუბარი.

სოსო — აჭარას არ ეშვებიან.

ser — ომის კითხვა.

რუსული პრესა.

**ცნობები:**

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის დადგენილებანი. სოც. დემ. საოლქო ყრილ. დადგენილ. რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. ეროვნული კითხვა. უკრაინელთა და ქართველთა შორის. სალამი უკრაინელებს. რუსეთი. უცხოეთი. ახალი ამბავი.

## მოვემზადოთ.

დღეს თუ ხვალ დიადმა რევოლუციამ რუსეთში ახალი წესწყობილება უნდა დაამყაროს. რა ფორმის იქნება ახალი წესწყობილება და რა საშვალებით დამყარდება იგი, გადაჭრით არ ითქმის, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ძველი წესწყობილების ნიშნები მას არ უნდა ექნეს არც ერთ სახელმწიფოებრივ ცხოვრების დარგში. სხვათა შორის ერთი ძირითადი საკითხი, **ეროვნების თავისუფლება**. სავსებით უნდა დაკანონდეს. კერძოთ საქართველოსთვის ავტონომია უნდა მოეწყოს. სავსებით გამოირკვა, რომ ავტონომიის საკითხი იმდენათ მომწიფებულია, რომ მისი უარყოფა სინამდვილის გვერდის ავლა იქნება და სამართლიანობასაც არსებითად შელახავს.

ავტონომიის შესახებ ბევრი რამ ითქვა, ბევრი დაიწერა, კერძო პირთა აზრებიც გამოითქვა და სხვადასხვა პოლიტიკურ წრეთა გადაწყვეტილებაც გამოქვეყნდა. დასკვნა ყოველივე დაწერილისა და ნათქვამისა ისაა, რომ, დღეს არის თუ ხვალ, მთელი ქართველი ერი ერთს, იურდიულად დასაბუთებულს და ზნეობრივად სავალდებულო, დადგენილებას გამოიტანს, რომლის ძალითაც სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებას მოეთხოვება **საქართველოს ავტონომიის დამტკიცება ისტორიულ საზღვრებში**. დეკლარაცია ავტონომიის შესახებ იქნება საერთო ხმა შეგნებული ერისა. ეს იქნება სამართლიანი ამოძახილი უსამართლოდ დევნილი ერისა.

ავტონომიური მართვა-გამგეობა საქართველოში იქნება შეცდომებით სავსე წარსულის გასწორება და სამართლიანი მომავალის დასაწყისი. თუ მიუდგომლად განვიხილავთ საქართველოს ავტონომიის საკითხს, აქ ცხადი ჭეშმარიტების მეტს ვერას დავინახავთ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ავტონომია საბუთიანი მოთხოვნილებაა; მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ავტონომიის დაკანონება მთელი რუსეთის წარმატებისთვის აუცილებელი პირობაა: მიუხედავათ იმისა, რომ საქართველოს ავტონომიის უარყოფა საფრთხეს უმზადებს მომავალ წესწყობილებას, საქართველოს ავტონომიის საკითხი მაინც არაა უზრუნველყოფილი.

საქართველოს ავტონომიის ხსენებამ მტრები ორი მხრით აახმაურა. ზოგი რუსეთში ახმაურდა, ზოგიც აქვე-კავკასიაში. თავიდგან მოსალოდნელი იყო, რომ მოწინააღმდეგეებს უმთავრესად ორი მიზეზი აამოძრავებდა; **შეუგნებლობა** და **შური**.

მართალია რუსეთი დიდი ქვეყანაა და იქ პოლიტიკური სიმწიფე დაბალ საფეხურზე სდგას, მაგრამ იმის იმედი კი გვქონდა, რომ ინტელიგენცია რუსეთში არსებობს და მის წარმომადგენელთა შორის ფართო მსოფლ-მხედველობით აღჭურვილი ბევრია და მათი ხმა შეუგნებლისთვის გზის მაჩვენებელი იქნებოდა. ასე რომ შეუგნებელთა შორის კიდეც რომ ყოფილიყო უთანხმოება, ეს იმდენად გასაკვირველი არ იქნებოდა, მაგრამ, როდესაც სოციალისტთა ბელადი-კერენსკი მუქარის კილოთი ლაპარაკობს, როდესაც პროფესსორი მილიუკოვი შურით შეპყრობილი ვიწრო მსოფლ-მხედველობას იჩენს, როდესაც ცნობილი პროგრესისტი როდიჩევი რუსეთის მთლიანობაზე წუწუნებს, — მაშინ კითხვა იბადება, ვინდა უნდა მოიწონოს საქართველოს ავტონომია, ვისდა უნდა მოვსთხოვოთ ერთა თავისუფლების დამყარება და სამართლიანობის დაცვა! ამის შემდეგ, მოსალოდნელია, პოლიტიკურმა სივიწროვემ საქართველოს ავტონომიას დამფუძნებელ კრებაზე ბევრი მტერი გაუჩინოს და მის გადაწყვეტას არსებითად ხელიც შეუშალოს.

საკვირველია, რომ ეს დალოცვილი დიდი გვამები საზეიმო სიტყვებში უხვად ლიბერალობენ და, როცა სიტყვა საქმეზე მიდგება, უკან უკან იწევენ. კერენსკის სოციალისტობა ამ ბოლო დროს ჩვენ კი არა, მგონი თვითონ მასაც აღარ სჯერა!

მეორე მხრით ახმაურდენ სომხები. პირდაპირ ავტონომიის უარყოფა მათ არ ემარჯვებათ და ამიტომ სულ სხვა გზას ეძებენ. სხვა ერთა ინტერესების დაჩაგვრაზე ლაპარაკობენ; არა ქართველთა მდგომარეობა აშინებსთ და რაღაც თადარიგის შესახებ მზრუნველობენ. მართალია ეს? გულწრფელია სომხების განცხადება? არა, და აი რატომ.

არიან ისეთი ადამიანები, რომელნიც ერთს ამბობენ, მეორეს ფიქრობენ; არიან ისეთი პირები, რომელნიც ერთს გამოსთქვამენ და მეორეს გულისხმობენ. სწორედ ასეთი ტიპის არიან სომეხთა მწერლები. სწორედ ასე იქცევიან ისინი ამ საკითხშიც.

სომხებმა კარგად იციან, რომ არა თუ ახლა-მეოცე საუკუნეში — ძველადაც არა ქონია ქართველებს თვისება სხვა მეზობელი ერი შეეწუხებია. სომხებმა კარგად იციან საქართველოს ისტორიიდან, რომ ქართველებს, არა თუ ავტონომიურ წესწყობილებაში, საქართველოს დამოუკიდებლობის და სრული თავისუფლების დროსაც არ შეუვიწროვებია სხვა ერები და არ მოუმდურებია არავინ. პირ იქით ქართველი ხალხი ყოველთვის პატივის მცემელი იყო სხვა შემოსახლებული ერისა. ქართველი მეფეების პოლიტიკა და მათი კანონმდებლობა ამას აშკარად ამტკიცებს. მაშ ვის მოელის საფრთხე, ვის უნდა ეშინოდეს რამე შევიწროვების?!

სრულიად არავის. მით უმეტეს, რომ საქართველოს ტერიტორიული ავტონომია გულისხმობს სხვა ერების კულტურულ თავისუფლებას. მაშ რა ალაპარაკებს სომხებს და მათ დაქირავებულ რუსპუბლიცისტებს? ისინი მიზეზათ განზრახ ასახელებენ სხვა ეროვნების დაჩაგვრას და ნამდვილად კი მათ ალაპარაკებს **შური** და **სიხარბე**. საუბედუროდ ეს შეუგნებლობაა, თორემ საქართველოს ავტონომია სომხებისას ხელს ხომ არ შეუშლის? ისინი თავის თავზე უნდა ზრუნავდენ და ჩვენს მოთხოვნილებას რათ უკიჟინებენ? ყველამ თავისი საქმე მოაწყოს, ყველას თავისი ერი უყვარდეს და სხვასაც პატივსა სცემდეს, — განა ამის წინააღმდეგ ითქმის რამე?

დღევანდელ პირობებში, ცხადია, ვინც ავტონომიის წინააღმდეგ ხმას ამოიღებს, ვინც თავისი ერისთვის ან სხვისთვის ავტონომიას არ მოინდომებს, ის ან პოლიტიკურად უვიცია, ან რევოლუციის მოღალატეა. პოლიტიკურმა შეუგნებლობამ და ვიწრო პატრიოტიზმმა დაამხინჯა ალექსანდრე მეორის რეფორმები რუსეთში და ამით შეაჩერა სახელმწიფოს წარმატების საქმე. უგნურმა ერთგულებამ განდევნა რუსეთიდან საუკეთესო მიმართულების და საყურადღებო მომზადების მოღვაწეები და რუსეთის ბედი მტარვალებსა და ქურდებს ჩააბარა. ნუ თუ რუსეთი ამას ვერ შეიგნებს, ნუ თუ რუსეთი ასეთი მწარე წარსულით არ ისარგებლებს და დღესაც ახალი წესწყობილების დამყარებას ისეთ პირებს მიანდობს, რომლებმაც სამშობლოს დათვური სამსახური გაუწიეს და გაძლიერების მაგიერ სამარცხვინო ზარალი თავს დაატეხეს?

საუბედუროდ, კიდევ მოსალოდნელია რუსეთი შეცდეს და ეროვნებათა თავისუფლებას წინ აღუდგეს. როგორც ირკვევა რუსეთში უმეტესობას რევოლუცია ვერ მოუნელებია და სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის მისი ჩაქრობა და ჩაფუჩეჩება საჭიროდ მიაჩნია. რუსეთის ამნაირ სულიერ განწყობილებას ხელს უწყობენ ჩვენი მეზობელი სომხები, რომელნიც ისედაც შეშინებულ რუსებს თავისუფლების განხორციელების გზაზე ათასგვარ საფრთხეს უხატავენ.

ამგვარად დავრწმუნდეთ, რომ ჩვენს სამართლიან მოთხოვნილებას — ავტონომიას — საფრთხე მოელის და ყოველი ხელის შემშლელი პირობები თავიდანვე უნდა გავითვალისწინოთ. მოსალოდნელი ბრძოლა ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ და შესაფერად მოვემზადოთ. ამაზე უნდა ვიფიქროთ,

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

## ომის კითხვა.

მოვლენების თეორეტიულად გაშუქება ხშირათ ძლიერ ეწინააღმდეგება რეალ სინამდვილეს. მსოფლიო ომის აღმოცენებისას გამოჩენილმა მოაზროვნეებმა ნაირ ნაირი აზრი და კრიტიკა გამოაქვეყნეს, მაგრამ დღემდის ნამდვილი ამოცანა ამ ომისა არავის აუხსნია.

რორბახხები და უელსები საყოველთაო მნიშვნელობისას არას ამბობდენ.

რორბახი თავის ბროშურაში აღნიშნავს, რომ გერმანელების მიზანია აღმოსავლეთის ქვეყნებში ეკონომიურად ხელსაყრელი პირობების შეძენა. უელსი უწინარესს ყოვლისა ინგლისს გადახედავს კეთილ შობილურ თვალით და გერმანეთს უსაყვედურებს, რომ მას ედება დიდი ბრალი მსოფლიო უბედურების დაწყებაში. შემდეგ წინასწარმეტყველობს, რომ მსოფლიო ტრაღედია 3 წელს გაგრძელდება ე. ი. 1917 ივლისში დასრულდება. ამ რიგად ყოველი მეცნიერი ომს საკუთარ ეროვნულ თვალთახედვით უყურებდა და მის შესახებ საერთო სავალდებულო სიტყვა არავის უთქვამს.

დემოკრატია ომს პროტესტით ვერ შეხვდა. სოც. ვანდერველდე ტომა და ბედი — ომის მომხრეების რიგში გამოვიდენ. ლიბკნეხტი დარჩა „პაციფისტების“ გვერდზე, მაგრამ რას გახდებოდა. ბოლოს ისე მოხდა, რომ მსოფლიო ომში ყველა ჩაერია, მისი მომხრეც და უარმყოფელიც.

ომის მსვლელობამ მებრძოლ სახელმწიფოებში ამ მხრივ ერთსულოვნობა გაამეფა.

სახელმწიფოები შეკავშირებული ძალით მისიენ ერთმანეთს. დიდი სახელმწიფოთა საომო ლოზუნგი შემდეგ ნაირად წაეწერა მათ დროშას:

„დაჩაგრულ დამონებულ ერების გან თავისუფლება“.

ომის ნამდვილი ხასიათის შემეცნება ამ განცხადებამ დაჩრდილა.

სახელმწიფური და არა სახელმწიფური პოლიტიკური პარტიები ერთ მორევში მოექცენ.

ომმა გაიარა რამდენიმე პერიოდი.

ერთმა მხარემ გაიმარჯვა, მეორე დამარცხდა, ზოგმა უძლურმა ერმა დამოუკიდებლობა დაჰკარგა. ამ პროცესის მიმდინარეობაში ნათლად გამოჩნდა ომის ეგოისტური ხასიათი.

ომი ყველას საკუთარ საჭიროებათა გამომხატველად ესმოდა. ბევრი ომში ძველ ცხოვრების განახლების დასაწყისს სჭვრეტდა. ომის შესახებ ასეთსავე აზრს გამოსთქვამდა კარლ მარქსი.

როდესაც ყირიმის ომი დაიწყო, იგი აღნიშნავდა, რომ ომი უკეთესი დამრღვევი იქნება ძველ დახავსებულ წესწყობილებისაო. განახლებისთვის ომმა ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ ეს „განახლება“ ყველგან და ყოველთვის ეგოისტურ ფორმებში ხდებოდა. ომი უმთავრესად ეკონომიურ ნიადაგზე წარმოიშვაო, სწერდენ მემარცხენე პარტიის მწერლები.

ახლა განვიხილოთ ეკონომიურმა დავამ, რა შემდეგს მიაღწია? სადავო იყო გიბრალტარისა, დარდანელისა და სხვა ადგილების, რომელნიც ალებ მიცემობას ჰბორკავენ, თავისუფლად ქცევა.

ამ კითხვაში ყველა სახელმწიფომ ეგოისტობა გამოიჩინა. დარდანელს რუსეთი წაეპოტინა, გიბრალტარის ზღუდეების დანგრევისათვის პირობები ვერ მომზადდა. აღმოსავლეთის ეკონომიური ასპარეზი კი გერმანეთმა დაიუფლა (ოსმალეთში გაბატონებით).

მაშასადამე, საერთაშორისო სადავო კითხვები არ გადაჭრილა. „მებრძოლები“ კი სისხლიდან დაიცალენ, და დღეს იძულებული არიან ზავზე იფიქრონ.

ომის დაწყებიდან მესამე წელს მოხდა დიდი ამბავი. ეს არის რუსეთის რევოლუცია. ომის და ზავის კითხვა მეტად გაართულა რუსეთის რევოლუციამ.

იმ დროს, როდესაც 11 სახელმწიფო ომს ისევ ძველის აღთქმით აწარმოებდენ, რევოლუციურმა რუსეთმა უკონტრიბუციო და უანექსო ზავის მოთხოვნა წამოაყენა. ამ მოთხოვნას მოკავშირე სახელმწიფოებმა სიფარისევლის მეტი ვერაფერი შეახვედრეს და ისევ ძველ გზით მიდიან. რევოლუციურმა რუსეთმა ზავის დაჩქარება მოითხოვა, მაგრამ თავის ნაბიჯებით თვითონ უნებლიედ შორეულად აქცია ეს ზავი.

საიდან სჩანს ეს?

როდესაც ინგლის-ფრანგები ზავის გამოჭედვას მხოლოდ ბრძოლის ველზე ხედავდენ შესაძლებლად და გერმანელებს ძალუმათ უტევდენ, რუსის ჯარმა ბრძოლა უარყო და მოპირდაპირესთან დამეგობრება დაიწყო.

მხოლოდ დღეს კი მოულოდნელად დაიწყო შეტევა. „უკონტრიბუციო, უანექსო და ხალხთა თავისუფალ თვით გამორკვევაზე დაყრდნობილი ზავი“ ვისიმე გამარჯვებით შეუძლებელი ხდება. თუ რევოლუციურმა რუსის ლაშქარმა გაიმარჯვა მაშინ მას საფრთხე მოელის თავის მოკავშირეებისგან, რომლებიც ჟრუანტელ მორეულები უცქერიან რუსეთში აღმართულ წითელ დროშებს. რუსეთის რევოლუციამ მსოფლიო ომში ახალი მომენტი დააყენა. რევოლუციურად განწყობილი რუსეთის ხალხი მთელ სამყაროს გარევოლუციონერებას ეუბნება, მაგრამ ვინ არ იცის, რომ რევოლუციები შეკვეთით არ ხდება.

ომმა სიახლე შეიტანა კაცობრიობაში, მაგრამ სიახლესთან ერთად უამრავი რთული და ძნელი გარემოებანი დაიბადა.

ყველაზე მწვავე კითხვა დღეს ზავის ჩამოგდებაა, მას მისდევს ეროვნული კითხვა.

თეორეტიულად ამ წამოყენებულ კითხვების გადაწყვეტას ფასი არა აქვს.

ისევ უნდა ვუცადოთ ცხოველ მყოფელ მოვლენებს და მომავალ ამბების ძლიერ სიტყვას.

მსოფლიო ომმა ყველა შესაძლო საფეხური გაიარა. და ამჟამად დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ომს აქტიურ სახით გახანგრძლივება აღარ შეუძლია. შეიძლება ომი კიდევ გაგრძელდეს მაგრამ მას პასიური ხასიათი ექნება.

დღეს კაცობრიობას მართებს დიდი ენერგიის გამოჩენა. რომ მსოფლიო ტრაღედიას ბოლო მოუღოს და ყველა მტკივნეული კითხვების მოგვარება საერთო სამართლიანობის თვალთახედვით მოახერხოს.

ser.

## რუსული პრესა.

**უკრაინის ავტონომიის შესახებ.**

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ამოღებული იყო ტრუდოვიკების აზრი უკრაინის რადის მიერ ავტონომიის გამოცხადების გამო. რამდენადაც ისინი დღეს სულ სხვა პოზიციას ადგანან ეროვნულ კითხვაში, იმდენად ძველ შეხედულებას არ იცვლის იმპერიალისტ კადეტების ორგანო „რეჩი“, რომელიც ასეთ ნაირად სწერს უკრაინის ავტონომიის შესახებ:

„კიდევ ერთი მუხლი გერმანელთა გეგმისა რუსეთის დაშლის შესახებ სისრულეში იქნა მოყვანილი. „უკრაინის ცენტრალურმა რადამ უკრაინის რუსეთისაგან ჩამოშორება აღიარა, ეს შედეგი იყო იმისა, რომ დროებითმა მთავრობამ უარი განაცხადა, „რადა“-ს მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა. უნდა აღვიაროთ, რომ უკრაინელები მეტად ცუდათ ხუმრობენ რუსეთთან. „დეზანექსიის“ მიმხრე ბოლშევიკთა გარდა, ყველა საზოგადოებრივი დაწესებულებანი გაჰკიცხავენ უკრაინელთა აჩქარებას. ვისაც ჰგონია, რომ რევოლუციურ რუსეთს კანონები არა აქვს და რუსეთის ცხოვრების ყველა კითხვების გადაწყვეტა თვითნებობით შეიძლება, ის ვერაფერს იტყვის უკრაინელთა თვითნებობის წინააღმდეგ, რომელიც მხოლოდ რუსეთის მტრებისათვის არის სასიამოვნო. ამათ გარდა ყველა თანახმა იქნება იმისა, რომ უკრაინელთა უკანონო მოქმედება დაუყოვნებლივ და უსასტიკეს სასჯელით უნდა იქნეს დასჯილი. ვინც მოწყვეტილ უკრაინასთან საერთაშორისო მოლაპარაკებას გამართავს, ის დასტურს მისცემს სრულიად რუსეთის სახელმწიფოს დანაწილებას.

შესძლებს კი ბოლშევიკების წინაშე უძლური მთავრობა, რომ იხსნას რუსეთი ნაწილ-ნაწილად დაშლისაგან? ვინ დაუჭერს მთავრობას მხარს იმაში, რომ მან ყოვლად აუცილებელი ზემოქმედება უნდა მოახდინოს უკრაინელებზე, და რომ ეს ზემოქმედება უსათუოდ უნდა მოხდეს, თუ მთავრობა მართლა მთავრობაა. ეს კითხვა ყველა რუს პატრიოტს აღელვებს. ჩვენ ოდნავ კიდევ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ამ კითხვაში მთავრობა მოიპოვებს, ფართო და ძლიერ დახმარებას თუ ის ენერგიულად მოქმედებას გადასწყვეტს მაგრამ გადასწყვეტს კი?

ეს კითხვა კიდევ უფრო აღელვებს, ვინე თვით ფაქტი უკრაინის მოწყვეტისა. რადგანაც ეს ფაქტი **ჯერ-ჯერობით** არის ქაღალდის ფაქტი. შეუძლებელია გამოვარკვიოთ ამ ჟამად, თუ რომელ მცხოვრებლებზე და რომელ ტერიტორიებზე ვრცელდება უკრაინის რადის გადაწყვეტილების ავტორიტეტი. შეუძლებელია გავითვალისწინოთ, მიიღებს თუ არა რადის უკრაინის ხალხისადმი „მოწერილობა“ ნამდვილ მთავრობის ბრძანების ძალას. ერთის თქმა კი შეიძლება: თუ მთავრობამ მომხდარი ფაქტი თვითონ აღიარა კანონიერ ფაქტებად,—რაც არა ერთხელ დამართვია,—მაშინ რადის დადგენილებას ძლიერი და მოულოდნელი დახმარე აღმოუჩნდება.

ამგვარად შედეგის იმედით ხომ არ მოქმედებდა ახლად მოვლენილი მთავრობა ახალი უკრაინის რესპუბლიკისა?

ომის დასაბამიდან უკრაინის გამოყოფა ერთი მთავარი საშუალებითაგანი იყო ჩვენი მტრებისა რუსეთის დასუსტებისათვის.

ეხლა უკრაინის ადგილობრივ პოლიტიკოსთა მეოხებით განხორციელებულია ის, რის გულისათვისაც ამდეხანს გერმანელები უამრავ ფულს ხარჯავდნენ და მხარს უჭერდნენ „უკრაინის განთავისუფლების კავშირ“-ს.

## რევოლუც. ამბები

(პ. ტ. ს.)

**დეპეშები**

მუშათა და ჯარისკაცთა დელეგატების ყრილობა.

**პეტროგრადი.** ივნისის 20. ყრილობა გადადის მორიგ კითხვაზე და ეხება დურნოვოს აგარაკის ამბებს. კამათში მონაწილეობას ღებულობენ პეტროგრადის ქარხნებისა და პოლკების წარმომადგენლები. წერეთელი მოუწოდებს ყრილობას მხარი დაუჭირონ მთავრობას ანარქიასთან ბრძოლაში. მუშა ვარიკოვი ამტყუნებს მინისტრ სოციალისტებს, აგარაკის დარბევისა და და მკვლელობის მოხდენის გამო. ჩერნოვი ამტკიცებს, რომ დურნოვის აგარაკი იყო ყოველთვის ჯაშუშთა და სისხლის სამართლის დამნაშავეთა ბუდეო. თავისუფლების ხელის შემშლელთ სამაგიერო უნდა მიეზღოსო. ლაპარაკობს მთელი რიგი მუშა ბოლშევიკებისა. რომელნიც ამტყუნებენ ბურჟუაზიას აგარაკის დარბევისა და სისხლის დაღვრის გამო. ისინი დასძენენ, პატარა ჯგუფი ანარქისტებისა ვერაფერ მავნებლობას ვერ მოუტანდა აპიტალისტების უმრავლესობასო. შემდეგ ლაპარაკობენ კიდევ მუშები. რევოლუციონერებმა, მენშევიკებმა და გლეხებმა მიიღეს რა მხედველობაში, რომ იდეურ ანარქისტების დროშის ქვეშ თავი ჰქონდათ შეფარებული ისეთ ელემენტებს, რომელშიაც არეულობა შეაქვთ ხალხში ასეთს კრიტიკულს დროს, ერთხმად აღიარეს, მათი დასჯის აუცილებლობა. ყრილობამ დაადგინა აგრეთვე, რომ ებრძოლონ ყველა მოვლენებს, რომელნიც ხელს უშლიან რევოლუციის მსვლელობას და დამნაშავენი გადაეცემიან სასამართლოს.

გზათა მინისტრის პროექტი.

**პეტროგრადი.** ივნისის 17. გზათა მინისტრი ამზადებს პროექტს, რომლის ძალითაც გზათა უფროსებს ეძლევათ უფლება რეკვიზიცია უქნას სასურსათო დატვირთულ მატარებლებს, რომელთაც დანიშნული დრო არ აქვთ. სურსათი მოხმარდება რკინის გზათა მოსამსახურეების საჭიროებებს.

საზოგადო სახელმწიფო კომიტეტის დადგენილება.

**პეტროგრადი.** ივნისის 17. საზოგადო სახელმწიფო კომიტეტმა დაადგინა: იმ ხორბლიდან, რომელიც გადადის სახელმწიფოს განკარგულებაში, უნდა მომზადდეს ფქვილი ან კრუპა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას დაავალებენ სასურსათო ორგანოები.

დეპუტატთა საბჭოების ცენტრალი ორგანო.

**პეტროგრადი.** თიბათვის 17. (დაგვიანებულია). დეპუტატთა საბჭოების ყრილობამ მუშათა ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა აღმასრულებელი კომიტეტი ცენტრალ ორგანოდ დაამტკიცა. მისი დადგენილება ყველა მუშ. და ჯარ. დეპუტ. საჭიროებისათვის აუცილებელი უნდა იყოს.

სასურსათო სამინისტროს დავალება..

**პეტროგრადი.** ივნისის 17. სასურსათო სამინისტროს დაევალა სასწრაფოთ შეიმუშაოს კანონპროექტი შაქრის წარმოების სინდიკატის დაარსების შესახებ.

სამხრეთ ამერიკის კონსულის გორტმანის დატუსაღება.

**მოსკოვი.** ივნისის 17. დაატუსაღეს სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკის კონსული გორტმანი. გორტმანს ბრალდება ჯაშუშობა. გაჩხრეკის დროს მას აღმოაჩნდა 5000 სხვადასხვა ყალბი დოკუმენტი. გორტმანი სატუსაღოში მოათავსეს. გორტმანის ტეხნიკური კონტორის გაჩხრეკის დროს დაატუსაღეს კიდევ რამდენიმე პირი. ტუსაღების ბრბომ სცემა, რომელნიც საავათმყოფოში იქნენ მოთავსებულნი.

შინაგან საქმეთა მიწერილობა კომისრებისადმი.

**პეტროგრადი.** ივნისის 17. შინაგან სა-

## იურიდიული საუბარი

(მასწავლებლის რვეულიდან.)

ყველასათვის სავალდებულოა თავის სამშობლოს, თავის ქვეყნის, იმ სახელმწიფოის, სადაც კაცი ცხოვრობს, კანონდებულობის ცოტად თუ ბევრად ცოდნა. თვით კანონი თხოულობს ამას; „არავის არ შეუძლია თავი გაიმართლოს კანონის უცოდინარობითო:“ თქვენ არ შეგიძლიათ სთქვათ: „მე ამას არ ჩავიდენდი, კანონი რომ მცოდნოდაო“; „მე არ ვიცოდი, თუ ეს კანონი აკრძალული იყოვო.“ რაკი კანონი გამოქვეყნებულია, იმის ცოდნა და ასრულება ყველასათვის სავალდებულოა, მიუხედავად იმისა, იცით თუ არა კანონი. სხვა რომ არა იყოს რა, ესეც საკმაოა, რომ ყოველ კაცს კანონის ცოტა რამ მაინც გაეგებოდეს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იურიდიული ცოდნა ყველასათვის საჭიროა, ბევრათვის დიდათ, ზოგიერთისთვის კი მიუცილებლათ. ეს იმისთვის, რომ ყველანი ვცხოვრობთ საზოგადოებაში, მონიჭებული გვაქვს განსაზღვრული უფლება და განსაზღვრული მოვალეობა. საჭიროა ჩვენი უფლება დავიცვათ, მოვალეობა შევასრულოთ. ამასთან სახეში უნდა გვქონდეს სხვათა უფლება, საზოგადო ინტერესის დაცვა. ყოველ კაცს ჰქონია, აქვს და ყოველს წამს მოსალოდნელია შეხვდეს საქმე, რომლისათვისაც საჭიროა კანონის ცოდნა. ყველას მოელის სასამართლოში მიწვევა და იქ პირადი მოქმედება, ვექილის დაუხმარებლად; მაგალითად მოწმედ, ან მცოდნე პირად — ექსპერტად, ან კიდევ ნაფიც—მსაჯულად ყოფნა. ყველას შეხვდება საქმე მთავრობის მოხელესთან; ამ შემთხვევაში საჭიროა არა მარტო თავის უფლების და მოვალეობის ცოდნა, არამედ საჭიროა იცოდეს კაცმა უფლება და მოვალეობა მოხელე პირთა, რომ უცოდინარობით ან არ გადააჭარბოს თავის მოთხოვნილებაში, ან თავი არ დააჩაგრინოს მოხელეს. ასე რომ იურიდიულს ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს კერძო ცხოვრებაში; მაგრამ როდესაც კაცი სამსახურში არის, ან საზოგადო ასპარეზზედ გამოდის, იმისთვის მიუცილებლად საჭიროა იურიდიული საგნების ცოდნა და, თუ სპეციალურად არა აქვს ეს საგნები შესწავლილი, ვალდებულია ეს ნაკლი თვითონ შეავსოს შეისწავლოს კანონი.

რაიცა შეეხება იურიდიულს მეცნიერებას, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ არც ერთ მეცნიერებას არ აქვს ისეთი დაახლოება კაცის ცხოვრებაში ყოველ დღიურ პირდაპირ გარდასაწყვეტ კითხვებთან, როგორც იურიდიულს. შესაძლებელია ნახოთ ისეთი კაცი, რომელსაც თავის დღეში აზრადაც არ მოსვლოდეს იმ კითხვებზე დაფიქრება, რომლებიც შეადგენენ ბუნებით მეტყველების ანუ ისტორიის საგანს; მაგრამ თქვენ ვერ გვიჩვენებთ ისეთ კაცს, რომელსაც არასოდეს არ ქონოდეს უფლებაზედ და მოვალეობაზედ მსჯელობა. თითქმის ყოველდღე გაიგონებთ, ან იტყვით: „ეს ჩემი უფლების დარღვევაა;“ „თქვენ არ შეასრულეთ თქვენი მოვალეობაო“ და სხვა. რა რიგ განკერძოებულ ცხოვრებას არ დაადგეთ, პირადი უფლების დაცვა მაინც უსათუოდ დაგჭირდებათ. უფლება ისე მჭიდროდ არის შეკავშირებული კაცის პიროვნებასთან, რომ უფლების დაკარგვა მოასწავებს კაცის პირადობის დაკარგვას. წარმოიდგინეთ ყოველივე უფლება-ახდილი კაცი, ის აღარ ითვლება ცოცხალთა რიცხვში. ამისათვის უბედურია ის კაცი ანუ ერი, რომელსაც დაუკარგავს თავისი უფლება. ამ ნაირად, უფლება შეადგენს ერთ უძვირფასეს მოვლენას კაცობრიობის ცხოვრებაში. ამასთან ისეც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ უფლებაზედ შესაძლოა ლაპარაკი მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; იქ, სადაც ერთის უფლებაა, მეორის მოვალეობაც მიუცილებლივ იგულისხმება. უდაბურ ადგილზე მცხოვრებ კაცის უფლება ფრთა შეკვეცილია, რადგანაც მას არ ყავს მეორე პირი — მოვალეობის აღმასრულებელი.

მეცნიერებამ ვერ გამოაკვლია, თუ რა დროს დაარსდა თავდაპირველად კაცობრიობის ცხოვრებაში უფლება, რომელიც თან-შეზრდილ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

უფლება, სარწმუნოება, ზნეობა მჭიდროდ არიან ერთი მეორეზედ დამოკიდებულნი, ასე რომ ერთი უმეორესოდ წარმოუდგენელია. ძველ-დროის საბერძნეთში უფლება, ზნეობა, სარწმუნეობა ერთმანეთში იყო არეული, არ იყო განსაზღვრული ერთი მეორისაგან. მხოლოდ რომაელები შეუდგენ ამათ განსაზღვრას. საშუალო საუკუნოებში ისევ არივ-დარიეს ეს მოვლენები. მეჩვიდმეტე საუკუნეში გამოჩნდა მეცნიერი თომაზი, რომელმაც განსაზღვრა და მიუჩინა უფლებას, სარწმუნოებას და ზნეობას თავიანთი ადგილი, თავისი კალაპოტი. მაგრამ ეს საკითხი უფრო კარგად განმარტა გამოჩენილმა ფილოსოფოსმა კანტმა, რომელმაც საბოლოოდ გადასწყვიტა, რომ უფლებამ კაცის გარეგანი თავისუფლება უნდა დაიცვასო, სარწმუნოება და ზნეობა კი კაცის სულიერს მოთხოვნილებას შეადგენსო. ეხლა ჩვენს დროში უფლება და ზნეობა განსხვავდებიან ფორმალურის მხრით. უფლების მოთხოვნილება არასოდეს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზნეობის მოთხოვნილებას და არც ზნეობამ უნდა მოითხოვოს უფლების გათელვა.

შეუძლებელიაო. ამბობს განსვენებული მურომცევი, უფლება წინააღუდგეს ზნეობასო, ან ზნეობამ ისეთი რამ მოითხოვოს, რაც უფლების წინააღმდეგ იქნებაო.

კაცის ყოველ-დღიურ მოქმედებას, მის ყოფა-ქცევას საფუძვლად უნდა ედვას თავისი უფლების დაცვა და მოვალეობის ასრულება. როდესაც კაცი თავის განსაზღვრულს სფეროში მოქმედებს, ის იცავს თავისს უფლებას, რომელიც არის კანონიერი ნება-რთვა. ამ შემთხვევაში კაცის მოქმედება არ ეწინააღმდეგება არსებულ კანონს, არ გადადის იმ შემოხაზულ წრიდან, სადაც კაცს თავისუფლება აქვს მინიჭებული. უფლების მიზანი ის არის, რომ როგორც კერძო კაცი, ისე მთელი ერი თავის ფარგალში იყოს და ამ რიგად დამყარდეს კაცთა-შორის ნამდვილი თავისუფლება. თუ მე თავის წრეში ვმოქმედებ, სხვის უფლებას არ ვეხები, სხვებს ამით ეძლევათ თავისუფლება და თუ სხვებიც ჩემს უფლებას არ დაარღვევენ, მეც თავისუფალ ვარ და ამაში მდგომარეობს ჭეშმარიტი თავისუფლება, კაცი. რომელიც ემორჩილება უფლების ბრძანებას, ამით უფრო მეტს თავისუფლებას პოულობს. უდიდესი დესპოტის ქვეშევრდომი, სახელმწიფოში მცხოვრები, გაცილებით უფრო თავისუფალიაო, სწერს, პროფესორი რენენკამფი, ვინემ ტყედ გადავარდნილი კაცი, რომელიც მონაა, როგორც ბუნების. ისე ყოველივე მოულოდნელ შემთხვევათაო.- უფლება და კანონი ერთი და იგივე არ არის; კანონი უფლების ერთი თვალ-საჩინო გამომხატველი წყაროთაგანია.

ისტორია მოგვითხრობს, რომ მხოლოდ კულტურამ შეძლო დაეხსნა კაცობრიობა იმ განსაცდელისაგან, რომელიც მოელოდა მას „ძლიერთა უფლების“ გამეფებით. დღეს, რაც უფრო განვითარებულია ხალხი, რაც მეტად არის გავრცელებული შეგნებითი ძალა ერის უმრავლესობაში, იმდენათ მეტი პატივი ეძლევა სხვის უფლებას; იმდენად უფრო საჭიროდ სთვლის კერძო პირი თავის საკუთარს სფეროში იმოქმედოს და თავის მოვალეობა შეასრულოს.

საყურადღებოა ინგლისის მეცნიერის პაიკის ისტორიული მიმოხილვა დანაშაულობისა*).

ამ მეცნიერის სიტყვით დანაშაულობა ველურ დროის ნაშთიაო. კულტურა მოსპობს კაცში არსებულ მხეცსო მხოლოდ სამწუხაროდ ეს გადახალისება გვიან ხდებაო. პაიკი ადარებს ინგლისის მცხოვრებთა რიცხვს მკვლელობის რაოდენობას და ის დასკვნა გამოყავს, რომ დღეს ინგლისში ოცდაჩვიდმეტჯერ ნაკლებად უნდა ეშინოდეს კაცს ძალ-მომრეობითი სიკვდილის, ვინემ ხუთასი წლის წინედ იყოვო. ელისაბედის მეფობის დროს (მეთექვსმეტე საუკუნის უკანასკნელის წლებიდან 1603 წლამდე) ინგლისში სასამართლოს განჩინებით წელიწადში თურმე რვაას კაცს ალჩობდენ. დღეს რომ იმავე პროპორციით ვიხელმძღვანელოთ მცხოვრებთა რაოდენობასთან შედარებით, ყოველ წლიურად ათი ათას ოთხასი კაცი იქნებოდა ჩამოსახრჩობიო; ვიქტორიას მეფობის განმავლობაში წელიწადში ჩვიდმეტ კაცზე მეტი არ დაუსჯიათო სიკვდილით.

ამ ნაირად, ცხადია, რომ თავის უფლების დაცვა და სხვისი უფლების ხელუხდელობა და მოვალეობის ასრულება იმ ერს უფრო შეუძლია, რომლის კულტურაც შედარებით მაღლა დგას. —

ს. მ.

*) „Исторія преступленій въ Англій

ქმეთა მინისტრმა მ. წერილობა გაუგზავნა კომისარებს, რომ კინემატოგრაფებში აიკრძალოს ისეთი სურათების ჩვენება, რომლის სიტყვები რელიგიის დაცინვა და შეურაცყოფაა.

სახალხო სოციალისტების ყრილობა.

**პეტროგრადი.** ივნისის 17. გაიხსნა სრულიად რუსეთის სახალხო სოცილისტების პირველი ყრილობა. რუსეთის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოვიდენ 100-მდის დელეგატი.

ინვალიდების ყრილობა.

**პეტროგრადი.** ივნისის 17. სრულიად რუსეთის ინვალიდთა ყრილობამ განიხილა მრავალი საორგანიზაციო კითხვები დიდი კამათი გამოიწვია კითხვამ პოლიტიკური მანიფესტაციაში მონაწილეების მიღების შესახებ. ივნისის 18 ყრილობამ ხმის უმრავლესობით დაადგინა, რომ ყრილობა ამგვარს მანიფესტაციაში მონაწილეობას ვერ მიიღებს, ხოლო ყრილობის ყველა წევრს უფლება ეძლევა თავისუფალ მოქალაქეობისა.

## მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

**დეპეშები.**

დასავლეთის ასპარეზი.

**ლონდონი.** ივნისის 16 ოფიციალი. კონტენდე კრუაზილის მიდამოებში მტერი ძლიერად უშენდა ჩვენს პოზიციებს.

**ლონდონი.** ივნისის 18 ოფიციალი. მტრის არტილერიამ დიდი ენერგია გამოიჩინა მდ. სკარპის ველით. ლანსის მიდამოებში ლისის ჩრდილოეთით, მდ. სუშეს მახლობლად ტყვეთ წამოვიყვანეთ 17 კაცი ივნისის განმავლობაში წამოვიყვანეთ სულ 8686 ტყვე გერმანელი. მათს რიცხვში 175 ოფი ერია. წამოვიღეთ 67 სამხედრო იარაღი, 345 ტყვიის მფრქვეველი და მრავალი სამხედრო მასალა.

**პარიზი.** ივნისის 17 ოფიციალი. ღამის განმავლობაში მტერი განაგრძობდა ენერგიულს მოქმედებას, მდ. ენის მიმართულებით, სადაც სასტიკ ყუმბარების დაშენას მოჰყვა ძლიერი იერიშები. მტრის იერიშები მოვიგერიეთ. სარპის მიდამოებში ბრძოლა მწვავე ხასიათს იღებდა. მტერმა შესძლო შემოჭრილიყო ჩვენს თხრილების პირველ ხაზში. მტერი უკუვაქციეთ, წამოვიყვანეთ ტყვეები. მაასის მარცხენა ნაპირზე საარტილერიო ბრძოლაა. ავარკურის მიდამოებში 304 მაღლობის ტყესთან ბრძოლამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. მტერი ჩვენს პოზიციებს ყუმბარებს უშენდა. მტერმა ძლიერი ჯარით იერიში მოიტანა მაღლობ 304-თან. ის გავფანტეთ, თუმცა მაინც შესძლეს დაეკავებიათ ჩვენი ხაზის რამდენიმე პუნქტი, მტრის ახალი იერიში მაღლობ. 305-თან ჩვენმა ჯარმა მოიგერია.

იტალიის ასპარეზი.

**რომი.** ივნისის 16 ოფიციალი. კოლბრიკონის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლა სასტიკს ხასიათს ღებულობდა. გორიცს მიდამოებში მტერმა ღამით იერიში მოიტანა. იერიში მოვიგერიეთ.

მფრინავთა მოქმედება.

**ლონდონი.** ივნისის 16 ოფიციალი. ჩვენი მფრინავები ძლიერად უშენდნენ მტერს. ოსმალეთის მფრინავები ჩვენს ბანაკს უშენდენ. ზიანი არაფერი მოუტანიათ. ივნისის 13 ინგლისის მფრინავებმა ოსმალების ბანაკში 24 ყუმბარა ჩამოაგდეს, რომლითაც განადგურებულ იქნა მტრის კარვები.

**რომი.** ივნისის 19 ოფიციალი. მტრის საჰაერო რაზმმა თავდასხმა მოახდინა ლაგუნუ ვენიციაზე, ჩამოყარა ცეცხლის გამჩენი ყუმბარები აფეთქებულ იქნა სახლები ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა მტრის ორი ჰაეროპლანი ჩვენმა ბატარეებმა აიძულეს მიმალულიყვნენ. ივნისის 18 ღამით ჩვენმა ჰიდროპლანებმა იერიში მიიტანეს ტრიესტზე. იერიში ნაყოფიერი გამოდგა მიუხედავათ ძლიერი ქარისა. ყველა აპარატები უვნებლად დაბრუნდენ.

## ახალი ამბავი

✦ გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთების გზავნა.

# საქ. ეროვნ. დემ. პარტიის წევრთა საგულისხმოთ.

კვირას, 25 ივნისს დილის 10 საათზე ქუთ. რეალურ სასწავლებელის შენობის დარბაზში მოხდება ეროვნულ დემოკრატიულ

## პარტიის წევრთა კრება.

კრების პროგრამა შემდეგია: მოხსენება საქართ. ეროვნ. დემ. პარტიის კონფერენციის შესახებ და რამოდენიმე საუბარი საპროგრამო კითხვებზე.

✦ ეროვნ. დემ. პარტიის წევრთა კრება. კვირას 25 ივნისს დილის 10 საათზე ქუთაისის რეალურ სასწავლებელში გაიმართება ეროვნულ დემოკრ. პარტიის წევრთა კრება. კრების პროგრამა შემდეგია. მოხსენება საქართველოს ეროვნ.-დემოკრატიულ პარტიის კონფერენციის შესახებ და საუბარი საპროგრამო კითხვების შესახებ.

✦ განკარგულება. ქუთაისის სახალხო მილიციის უფროსმა პორუჩ. ივ. ჟღენტმა განკარგულება, გასცა სასტიკათ თვალ ყური ადევნონ ქუთაისიდან ღვინის გატანას.

ღვინის წაღება სრულიად აკძალულია და ი. ჟღენტი აცხადებს, რომ მას ნურარ მიმართავენ ღვინის გატანის ნება რთვის მისაღებათ.

✦ სათათბიროს გაუქმების გამო სრულიად რუსეთის ყაზახთა ყრილობამ პროტესტი განაცხადა

✦ ა. გუჩკოვი. სამხედრო მინისტრად ყოფილი ალ. გუჩკოვი ჯარში მოხალისეთ შევიდა და ბრძოლის ველზე მიდის.

✦ ქალაქის არჩევნების გარშემო. ქალაქის ალმ. კომიტეტის საარჩევნო კომისიამ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, ქალაქი დაიყოს სამ საარჩევნო ნაწილათ არჩევნებში მონაწილეობის მიღება რომ ყველა მცხოვრებს გაუადვილდეს ამისთვის ყოველ 1000 მცხოვრებზე ნება დართულია დადგმულ იქმნას ცალკე საარჩევნო ყუთი. საარჩევნო ბროშურებისა და სიების დაბეჭვა, როგორც მესტამბეებთან მოლაპარაკების შემდეგ გამოირკვა, 15,000 მან. ჯდება და ამასთანავე ხსენებულ სიების და ბროშურების დაბეჭვდას თვე ნახევარი სჭირდება. ამიტომ საარჩევნო კომისიამ მიმართა ყველა საზოგადო და წესებულებათ, იკისრინ რემინგტონის საშუალებით სიების დაბეჭვდა.

კრება. 10 ივლისს იმერეთის სამღვდელოება ქუთაისში... იწვევს თავის ყრილობას ყრილობაზე დასასწრები უწყებები ცალკე დარიგდება და აგრეთვე წინასწარ გამოქვეყნდება კრების სამოქმედო გეგმა და განსახილველი კითხვები.

✦ ქუთ. სამღვდ. დრ. ადმ. კომიტეტმა რუსეთში მყოფ არქიმანდრიტ ამბროსის (ხელაია) შეატყობინა, რომ იმერეთის სამღვდელოებამ იგი აირჩია გელათის მონასტრის წინამძღვრათ. არქ. ამბროსი დეპეშით იტყობინება: „ამ ჟამად საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის დელეგაციას პეტროგრადში მივყვები, დავბრუნდები და მივიღებ გელათის წინამძღვრობასო.“

✦ დროს ერთი საათით წინ წაწევა. მინისტრთა საბჭომ სათბობ კრიზისის გამო დაადგინა, რომ 1 ივლისს მთელ რუსეთში დროს მაჩვენებელი საათის ისარი ერთი საათით წინ წაწეულ იქმნეს. ასეთ ზომით, როგორც დაახლოვებით გამოიანგარიშეს, მარტო პეტროგრადში გადარჩება 5 მილიონი ფუთი ნახშირი.

✦ დროებითი სამხედრო სასამართლო. როგორც ვიცით ახალმა დროებითმა მთავრობამ გააუქმა ძველი რეჟიმის დროს მომქმედი სამხედრო-საველე სასამართლოები. ახლა გენ. ბრუსილოვის განკარგულებით ბრძოლის ასპარეზებზე არსდება დროებითი სამხედრო სასამართლოები, რომლებიც განიხილავენ ჯარიდან გამოქცეულების და თავის დროზე არ გამოცხადებულთა საქმეს.

✦ ქალაქის მცხოვრებთა საგულისხმოთ. ბოლო დროს ქუთაისში სოფლებიდან მოუხშირეს საკლავ საქონლის ჩამოყვანას და ამასთანავე მეტად დაკლებულ ფასებში ჰყიდიან. გუშინ ჩვენ შევეკითხეთ, ერთ სოფლელს, თუ რა არის იმის მიზეზი, რომ ასეთ სიძვირეში 100 მან. ძროხას 30 მან. ჰყიდიან. მან სთქვა, სოფელში საქონლის ჭირი მძინვარებს და ამიტომ ვკარგავთ ასე მუქთად საქონელსო. შევეკითხეთ აგრეთვე ზოგიერთ ყასბებსაც, სნეულს საქონელს ხომ არ კლავთქო. ყველა მათგანმა გვიპასუხა: „მე არ ვკლავ ავადმყოფ საქონელს, მაგრამ სხვა კი კლავსო“ საჭიროა ამ საშიშ გარემოებას სასტიკი ყურადღება მიექცეს, აგრეთვე შესაფერი დახმარება სჭირიათ სოფლებს, სადაც საქონლის ჭირი მძვინვარებს.

✦ სანიტარული წესების დარღვევის გამო. ქალაქისა სასანიტარო ექიმმა ბ-ნმა ა. მაჭავარიანმა პასუხის გებაში მისცა ბეგვაბუნია (სასადილოს პატრონი) ბ. ბაბუნაშვილი (ყასაბი), მ. ელიაშვილი (მეხილე), თ. წიქორიძე (მეხილე), ერ. ჭავჭანიძე (მიკიტანი), ს. ჯიქია (ყასაბი), ნ. კერპულიძე (მეპურე), და მაგიკიანცი (მეფურნე).

**პროვინცია.**

როგორც რაჭა ლეჩხუმიდან გვატყობინებენ, იქ დიდი წვიმებია, რომაც დააზარალა ჭირნახული.

მარგანეცის საქმე.

ფოთი, ჩრდილო სამეტალურგიო ქარხნები ამ უკანასკნელ დროს დიდძალ შავ ქვას თხოულობენ.

ამ დღეებში გაზიდეს 400 ათასი პირველ ხარისხის ქვა მადენი. მარგანეცის გაყიდვის საქმეს დიდათ უშლის ხელს მუშა ხელის ნაკლებობა. ამჟამად ფოთში არის მოზიდული ხუთ მილიონამდე ფუთი მარგანეცი.

დ. ბორჯომში 20 ივნისს გაძარცვეს შუსტოვის შუშის ქარხნის მოლარე. მას წაართვეს 3,500 მან. მოკლეს მეეტლე მაღრაძე.

**კავკასიის ქრონიკა.**

ქ. ნოვოროსია. ქ. ნოვოროსიამ თავის დამოუკიდებელი რესპუბლიკა გამოაცხადა.

## საპროტესტო დეპეში.

გაგზავნილი იმერეთის სამღვდელოების დრ. ადმ. კომიტეტის მიერ ამიერ კავკასიის სავანგებო კომიტეტისადმი.

(ასლი ამ დეპეშისა ეგზავნებათ საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრეს ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს, გაზ. „საქართველო“-ს და „ვოზროჟდენიე“-ს.

იმერეთის სამღვდელოების კომიტეტი აცხადებს ღრმა პროტესტს ეპისკოპოს გრიგოლის პროვოკაციული განკარგულებით ავლაბრის მთავარ ანგელოზის ეკლესიის მღვდლის იაშვილის სამსახურიდან დათხოვნის გამო. ეს განკარგულება ნიადაგს უმზადებს ქართველებსა და რუსებს შორის უთანხმოებას და შეტაკებას და სახელს უტეხს განახლებულ ცხოვრების დასაწყისს.

გთხოვთ აღადგინოთ გათელილი სიმართლე, მტკიცე ზომებით შეზღუდოთ მთავრობის უღირსი წარმომადგენელი და ამით დაამშვიდოთ აღშფოთებული სარწმუნოებრივი გრძნობა მორწმუნე ქართველი ერისა.

კომიტეტის თავმჯდომარე
არქიმანდრიტი ნესტორი.

### ეროვნული კითხვა უკრაინაში.

დამთავრდა სრულიად უკრაინის სამხედრო პირთა ყრილობა. ყრილობამ ამოირჩია გენერალი კომიტეტი, რომელშიც შედის 17 კაცი. ამ მოკლე ხანში კიევში მოხდება სრულიად უკრაინის მუშათა თათბირი. მუშათა კრების მიზანია უკრაინის მუშათა დეპუტატების საბჭოს დაარსება. მუშათა საბჭო შეუერთდება უკვე არსებულ უკრაინის ჯარისკაცთა საბჭოს.

დამოუკიდებელი სასამართლო.

კიევში მოხდა სრულიად უკრაინის იურისტთა თათბირი, რომელმაც სხვათა შორის დაადგინა უკრაინის „რადისთვის“ გადასახადის შეწერა და დამოუკიდებელ უკრაინის სასამართლოს დაარსება.

კომისარის დაბარება.

კიევის გუბერნიის კომისარი სუკოვკინი უკრაინის კითხვის შესახებ მოსალაპარაკლებად დროებითმა მმართველობამ ჩქარი დეპეშით პეტერბურგს დაიბარა.

საკუთარი კანდიტატებით.

კიევის საქალაქო არჩევნებში უკრაინის სოც.- დემ. და სოც.-რევოლუც. წინასწარად თავისი საკუთარი კანდიდატები წამოაყენეს და არჩევნებში უკრაინულ ენაზე დაბეჭდილ სიით მიდიან.

ქ. კრემენჩუგში.

უკრაინელები ქალაქის არჩევნებისთვის დიდათ ემზადებიან. მათ განზრახული აქვთ ქალაქის თვით მმართველობაში გავლენა მოიპოვონ, რათა შემდეგ მედგრად იმუშაონ უკრაინის ავტონომიის მოსაპოვებლათ.

### შესწორება.

გაზეთ „საქართველოს“ № 134 ნომერში მოთავსებულ დადგენილებებს ეროვნულ-დემოკრატული პარტიის კონფერენციისას, სამწუხაროთ, აკლია მიღებული შემდეგი ერთი მუხლი:

ეროვნულ-დემოკრატული პარტია ეცდება ყოველგვარათ დაეხმაროს იმ აფხაზთა და ქართველთა, რომელნიც სხვა და სხვა დროს გადასახლებულნი იყვნენ უცხო ქვეყნებში (ოსმალეთში, სპარსეთში, რუსეთში) და ეხლა მოისურვებენ სამშობლოში დაბრუნებას.

ეს მუხლი დიდ მნიშვნელოვანი და საგულისხმიეროა: საქართველოს აღდგენისა და განახლების დროს შეუძლებელია დავივიწყოთ სპარსეთის და რუსეთის მტარვალების მიერ მშობლიურ კერას მოგლეჯილი თანამოძმენი.

სასურველია, „საქართველომ“ და იმ გაზეთმა, რომელთაც ისარგებლეს „საქართველოს“ ცნობებით შეცდომა გაასწორონ.

**კონფერენციის ერთი წევრთაგანი.**

# საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

## დამფუძნებელ ყრილობის დადგენილებანი

(გაგრძელება, იხ. ჩვ. ქვ. №61)

**ე. საქართველოს ეკლესიათა და სარწმუნოებათა საკითხი.**

საქ. ერ.-დემ. პარტიის ყრილობამ მოისმინა სერგო გორგაძის მოხსენება და დაადგინა:

1. მიელოცოს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს ყ. დ. სამღვდელო ლეონიდეს განთავისუფლება საქართველოს ეკლესიისა ასწლოვანის მონობისგან და თან ეცნობოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სურვილი, რომ განახლებულის ეკლესიის შინაგან მართვა-გამგეობა მოწყობილ იქნას ფართო კრებით—დემოკრატიულ (წარმომადგენლობით) საფუძველზე.

2. ის მამულები, რუსეთის მთავრობამ საქართველოს ეკლესიას ჩამოართვა და სახაზინოდ ჩარიცხა, დაუბრუნდეს ქართველ ხალხს სრულ საკუთრებად იმ წესით, რომელიც კონფერენციის მიერ მიღებულია სახაზინო და საუფლისწულო მამულების შესახებ; ხოლო საკითხი სამღვდელოებისა და ეკლესიის უზრუნველყოფისა გადაწყვეტილ იქმნას იმ წესით, რომელისაც შეიმუშავებს სრულიად საქართველოს ავტონომიის დამფუძნებელი კრება საქართველოს ეკლესიასთან შეთანხმებით.

3. სარწმუნოებათა მმართველობა ქართველ მაჰმადიანთა, ქართველ კათოლიკეთა, ქართველ გრიგორიანთა და ქართველ ისრაელთა დამოუკიდებელია და ავტონომიური.

3) სამაჰმადიანო საქართველო

საქარ. ეროვ.-დემ. პარტიის ყრილობამ დაადგინა:

1) სამაჰმადიანო საქართველოს მიწა-წყალი, რომელიც ძველმა მთავრობამ სახაზინოთ ჩარიცხა, აღიარებულ იქმნას ადგილობრივ მკვიდრთა სრულს საკუთრებად და მოისპოს აგრეთვე ამ მიწებზე ყოველგვარი განსაკუთრებული გადასახადები.

2) აჭარასა და სხვა სამაჰმადიანო საქართველოს, ისე როგორც აფხაზეთსა და საზოგადოთ საქართველოს ყოველ სხვა პროვინციებსაც მიეცემა თვისი თვითმართველობა. სამაჰმადიანო საქართველოში ყოველი ზნე-ჩვეულება და ადათი, ისე როგორც სარწმუნოება, მტკიცედ დაცული და ხელშეუხებელი იქნება ავტონომიის კონსტიტუციით.

3) აჭარასა და საზოგადოთ სამაჰმადიანო საქართველოს ნაწილებში ადგილობრივი სამართალი უნდა მოეწყოს თანახმად შარიათის წესებისა.

4) სარწმუნოებრივი მართველობა ქართველ მაჰმადიანთა, ქართველ კათოლიკეთა, ქართველ ისრაელთა და ქართველ გრიგორიანთა დამოუკიდებელია და ავტონომიურად მოწყობილი.

ამ რეზოლუციათა მიხედვით შესწორდა მთავარი კომიტეტის მიერ შედგენილ პროგრამის სათანადო მუხლები. დანარჩენი პროგრამისა პარტიის ყრილობამ უცვლელად მიიღო.

ზ) პოლიტიკური მომენტი.

(რევოლუცია, ომი და ზავი, ახალი მთავრობა, დამფუძნებელი კრება).

საქ. ერ. დემ. პარტიის ყრილობამ მოისმინა გერონტი ქიქოძის მოხსენება და დაადგინა:

რუსეთის თანამედროვე რევოლუცია ბურჟუაზიული რევოლუციაა, ჩაგრულ ერთა განთავისუფლება უმეტეს შემთხვევაში ბურჟუაზიულ რევოლუციებსა და ომებთან არის შეკავშირებული. საქ. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტია იმედოვნებს რომ უკანასკნელი დიდი ომი და რევოლუცია აღადგენს საქართველოს ეროვნულ უფლებებს.

2) საქ. ერ. დემოკრ. პარტია ეცდება რომ სრულიად საქართველოს ეროვნულ დამფუძნებელ კრებას რეალური ნიადაგი მოუმზადოს ახლო მომავალში.

3) საქ. ეროვნ. დემ. პარტია მხარს უჭერს ახალ დროებით მთავრობას, რამდენადაც ეს უკანასკნელი საგარეო პოლიტიკაში გულწრფელად უარყოფს იმპერიალისტურ მიდრეკილებას, ხოლო შინაგან ცხოვრებაში ხელს შეუწყობს ერთა განთავისუფლებას და დემოკრატიულ წყობილების დამყარებას.

4) საქ. ეროვნ. დემ. პარტია ემხრობა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის იდეიას ერთა განთავისუფლების ნიადაგზე და მოითხოვს რომ სახელმწიფოს საზღვრების შესწორებით საქართველოს დაუბრუნდეს თორთუმი, კისკიმი, ისპირი და ლაზისტანი.

5) საქართველოს საკითხი არ არის მარტო რუსეთის შინაური საკითხი. ის საერთაშორისო საკითხიც არის. საქ. ეროვნ დემ. პარტია ეცდება რომ ქართველ ერს წარმომადგენლები ყავდეს მომავალ საზავო კონფერენციაზე.

6) რუსეთის მომავალ დამფუძნებელ კრებაში საქ. ეროვ. დემოკ. პარტია დემოკრატიულ წესწყობილების დამყარებას და საქართველოს ავტონომიას მოითხოვს; ამ მიზნის მისაღწევად იგი შეუკავშირდება რუსეთის დემოკრატიას და დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლებს.

თ) საქართველოს პოლიტიკური პარტიები.

საქ. ეროვ.-დემოკ. პარტიის ყრილობამ მოისმინა მოხსენება შალვა ამირეჯიბის და დაადგინა, რომ ახლანდელ მომენტში შესაძლებელია და აუცილებელიც საქართველოს პარტიების შეთანხმება საქართველოს პოლიტიკურ თავისუფლების დასამყარებლად და დაარსება ამისთვის ეროვნულ საბჭოსი.

ი) საქართველოს მეზობელი ერები

საქ. ერ.-დემ. პარტიის დამფუძნებელ ყრილობამ მოისმინა მოხსენება გრიგოლ გვაზავასი, მიესალმა საქართველოს მეზობელ ხალხთა: მთიელთა, თათართა და სო-

მეხთა ეროვნულ თვითგამორკვევას და აღიარა, რომ პოლიტიკურ და ეროვნულ თავისუფლებათა განსამტკიცებლად და დასაცავად აუცილებელია კავკასიელ ერთა შეთანხმება.

## აჭარას არ ეშვებიან.

თუ ერის მოსპობა გინდა, ჯერ მის პერიფერიებს მიადექი და შემდეგ კი ცენტრს დაუწყე დარღვევაო, ნათქვამი რომ არის, სწორედ ჩვენზე აკეთებენ ასეთ ექსპერიმენტებს. ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენისთანა ცხრა რჯულა ერი იშვიათია მსოფლიო ისტორიაში. ვის არ ლოცვილობს ქართველი კაცი. ქრისტეს, მოსეს, მაჰმადს და სხვა, მაგრამ მისი ეროვნული მთლიანობა მაინც არ დარღვეულა. რჯული და ეროვნება სულ სხვადასხვა ცნებანი არიან, მაგრამ ეს ბევრს ან კიდევ ვერ შეუგნია, ან და თუ შეგნებული აქვს, განგებ მალავს სინამდვილეს. გრიგორიანებსა და კათოლიკებს ხომ სომხის პლუტოკრატებმა დაუწყეს „მორჯულება“, ისრაელ ქართველებს სიონისტები უპირობენ „აშენება“ს, ხოლო მაჰმადიანთ ვინ არ გადგომია. სომხიც მას ჩასჩურჩულებს, თათარიც, რუსიც და ასე გასინჯეთ ლეკიც კი.

საკვირველ არიან უფალო საქმენი შენი! ამათ მაინც რაღა აწუხებთ? მიდიან და არწმუნებენ აჭარლებს, რომ ქართულ სკოლებში ბავშები არ მიაბარონ. თვარა დაიღუპებიანო, არწმუნებენ, რომ თუ მათ ქართული ენა არ აღმოფხვრეს ძირიან ფესვიანად ხმარებიდან, ამით რჯულის სიმტკიცე ილახება, და რომ ამის დასაცავად თათრულად ლაპარაკი გამოდგება მხოლოდ ასე ვითომ ქართველები იმიტომ ეწეოდნენ დახმარებას, რომ მათი გაქრისტიანება სურდეთ.

ვინ არიან ეს თავზე ხელ-აღებული გათახსირებული ვაჟბატონები?

ხომ არაფერი კავშირი აქვთ „მშაკთაბა“ და „კავკაზსკ. სლოვო“-სთან, რომლებმაც ინსინუაციებითა და ცილის წამებით აავსეს ამას წინედ გაზეთი, ვითომ ქართველები ვინმეს რჯულს აცვლევიებდნენ. კვლავ დაიწყეს? მართალია ასეთ პროვოკატორებს გასავალი დიდი არა აქვს აჭარელთა მასსაში, მაგრამ ერთმა ქართველმა მაჰმადიანმაც რომ დაიჯეროს, ვითომ ქრისტიანი ქართველები ვინმეს სარწმუნოებას პატივს არა ვსცემდეთ, ჩვენ ამას დიდ შეურაცხყოფად მივიღებთ. ყველგან იმას გაიძახიან, რომ ქართველებს სჯულ-მოთმინებაში ბადალი არ მოეპოვებათ მსოფლიო ერთაშორის.

ჩვენ კიდევ მოუწოდებთ როგორც ჩვენს პრესას, განურჩევლად მიმართულებისა, ისე სრულიად საქართველოს ერს და მის გამომსახველ პარტიებს, ანუ კულტურულ დაწესებულებათ, ენერგიული და სასტიკი ზომები მიიღონ ასეთ პროვოკაციის წინააღმდეგ. თვალი გავახილოთ და უცხოელთა თარეშს საზღვარი დავსდვათ. თორემ შემდეგ გვიანღა არ მოგვივიდეს „თითზე კბენანი“.

**სოსო.**

## უკრაინელთა და ქართველთა შორის.

ჩვენი დამსახურებული ლექტორი ალექსანდრე გარსევანიშვილი მიიწვია ლექციის წასაკითხად ქუთაისში არსებულმა უკრაინელთა საზოგადოებამ „პროსვიტა“ მ. ალ. გარსევანიშვილმა სიამოვნებით მიიღო ეს მოწვევა და გუშინ 21 ივნისს საზოგადო საკრებულოს დარბაზში წაიკითხა რუსულ ენაზე ლექცია შემდეგ თემაზე: „ცხოვრება და მნიშვნელობა უკრაინულ ლიტერატურაში მგოსან ტარას შევჩენკოსი“. ლექციას დაესწრო ქუთაისში მყოფი ყველა უკრაინელები. აღსანიშნავია თუ როგორ შეხვდენ ეს ჩაგრულ ერის შვილები ლექტორს, რომელიც მივიდა მათთან, რათა გაეცნო მათთვის მათი „ბატკო“-ს (როგორც თვით ეძახიან მას) ტარას შევჩენკოს ცხოვრება და პოეზია. გაფაციცებით უსმენდენ ლექტორის ყოველ სიტყვას დამსწრენი, და გაბრწყინვებული მათი სახენი მოწმობდენ, თუ როგორ ხვდებოდა მათ გულს ისეთივე დაჩაგრულ ერის შვილის გულწრფელი სიტყვები, როგორც არიან თვით უკრაინელები. პირველად ლექტორმა აუწერა დამსწრეთ მრავალ-ტანჯული ცხოვრება ამ იშვიათი ნიჭიერ და დევნილი მგოსანისა. შემდეგ ლექტორმა დაწვრილებით განუმარტა შევჩენკოს ლიტერატურული ღვაწლი. ტარას შევჩენკო, სთქვა ლექტორმა ნამდვილი ხალხური და ამავე დროს ეროვნული პოეტიაო; მისი ყოველი ლექსი ღრმად სწვდებოდა ყოველ უკრაინელს, როგორ სწავლულს, ისე მდაბიო ხალხს. ტარას შევჩენკო თვით ხალხია და ჭეშმარიტი გამომხატველი უკრაინის ეროვნულ თვითცნობიერობისა. დამსწრე უკრაინელები აღტაცებაში მოყავდა ლექტორის მიერ შიგა და შიგ უკრაინულ ენაზე თქმულ ლექსებს. ლექცია მეტად შინაარსიანი და საყურადღებო გამოდგა, რამაც უკრაინელებისგან გამოიწვია ხანგრძლივი მხურვალე ტაშის ცემა. ლექტორი რამდენჯერმე გამოიწვიეს სცენაზე და აღტაცებული ტაშის ცემით აჯილდოვებდენ. უკანასკნელად მათმა წარმომადგენელმა დამსწრეთა სახელით მადლობა გადაუხადეს ლექტორს და სთხოვეს მას, რათა ასეთი ლექციები ხშირად მიაწოდოს მათ. აღსანიშნავია, რომ ბევრი დამსწრეთაგანი პირადათ მიდიოდენ ლექტორთან და მადლობას ეუბნებოდენ იმ სასიამო წუთებისთვის. რომელიც აგრძნობია მათ.

Amor.

## სალამი უკრაინელებს.

(სიტყვა თქმული 18 ივნისს უკრაინელთა საღამოზე **ტარა შევჩენკოს** სახსოვრად.)

თავისუფალნო მოქალაქენო და ამხანაგო უკრაინელებო! ამ ორმოცი წლის წინათ სახელგანთქმულმა ქართველმა მგოსანმა **აკაკიმ** ასეთი სიტყვებით მიმართა თავის „ავათმყოფ“ სამშობლოს:

> არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს
> და ისევე გაიღვიძებს;
> ვინც შენატრის მის სიკვდილსა—
> უმალ მასვე დაამიწებს...

აი ჭეშმარიტად წინასწარმეტყველური სიტყვები!

საქართველო, მართლაც, ავად იყო და ეძინა მთელი საუკუნის განმავლობაში. ძველმა რეჟიმმა მოიწადინა მისი სიკვდილი, მისი საუკუნოდ განსვენება, მაგრამ თითონვე დაიღუპა და ისეთ უძირო უფსკრულში ჩავარდა, საიდგანაც იგი ვერ ამოვა.

აღსრულდა **წინაგრძობა** მგოსნისა! ავადმყოფმა დაამიწა თავისი მჩაგვრელი, იგი აღსდგა თავისუფალი და განახლებულ ცხოვრებისაკენ მიილტვის.

აკაკის წინასწარმეტყველური სიტყვები უკრაინას ვითარებასაც გამოსახავს.

ოდესღაც თავისუფალი უკრაინა, მოსკოველებისაგან დაპყრობილი და დამცირებული, საღათას ძილსა მიეცა... — დიდ ხნობით მაგრად დაიძინა. ამ მშვენიერ ქვეყნის თავისებური ცხოვრება შესწყდა. ბატონყმობამ, ამ საშინელმა ვეშაპმა, მიწასთან გაასწორა მშრომელი ხალხი, ეს ვეშაპი გაჩნდა მოსკოველების, ამ ახალი მართლ მადიდებელ მფარველის, მოსვლისთანავე. დიდი რუსეთის მეფენი უხვად ჰფენდენ ბატონყმობის სენსა... წარმოიდგინეთ ბედის დაცინვა: თავისუფალ იდეების მოტრფიალე ეკატერინე მეორე იქამდინაც კი გაკადნიერდა. რომ თავის საყვარელ ფავორიტებს ათასობით ურიგებდა იმ დრომდე თავისუფალ „ხახოლებს“...

უკრაინის სასოწარკვეთილება უკიდურეს წერტილამდი ავიდა. აი ამ დროს ხალხის გულის სიღრმიდამ ამოიკვნესა ერთმა დიდებულმა უკრაინელმა გლეხმა... ეს იყო მგოსანი **ტარას შევჩენკო**... თავისი ძლიერი ჩანგითო ის ცდილობდა გაეღვიძებინა მძინარე ხალხი. მაგრამ მისი მოძმენი არც კი შენძრეულან... გარეშემო ისმოდა მგოსნის ცრური ჰანგები, ქვეყანა კი სდუმდა... შევჩენკომ იგრძნო მაშინ კალმით აუწერელი სულიერი ტანჯვა და სასოწარკვეთილებით დაეკითხა თავის თავსა:

> „რისთვის ამ ქვეყნათ მე დავიბადე;
> რისთვის მიყვარდა მე უკრაინა?“

ჰეშმარიტების დიადო მღაღადებელო!. მე, თავისუფალ საქართველოს შვილი გაბედავ ამის პასუხსა და ვგონებ, არ ვცდები ამ ჩემ აზრში. შენ დაიბადე იმიტომ, რომ დატანჯულიყავი მთელი ერისთავის და ამ ტანჯვით გამოგესყიდა მამა-პაპათა ნებსითი და უნებლიეთნი ცოდვები... სამშობლო კი გიყვარდა იმიტომ, რომ გეხსნა იგი საშინელ განსაცდელისაგან, შენ დაიცავი უკრაინა დაღუპვისაგან და გახდი ნამდვილი მხსნელი მშობელ მხარისა.. შენ იყავი **უკრაინის მოხე წინასწარმეტყველი**.

მართალია, ბედკრული ხალხი აღთქმის ქვეყანაში ვერ შეიყვანე, მაგრამ სამაგიეროდ სწორ გზაზედ დააყენა იგი.

და აი აწ დადგა ნეტარი დრო.. თავისუფლების მზემ გაამუქა მთელი რუსეთი და შენმა საყვარელმა უკრაინამაც თავისუფლად ამოისუნთქა იმედია, ახლა კი შენი მოძმენი აასრულებენ შენ სიტყვებსა..

ძმებო, არიგებდა მათ, ხელი მოხვიეთ ერთმანეთს, **ძმურად** მოხვიეთ. დაჰკოცნეთ ერთმანეთი თავისუფალ ტუჩებით და შვილები დალოცეთ ძლიერი ხელებით.. გევედრებით თვალ-ცრემლიანი, ძმურად მოხვიეთ ხელები. რომ შეუშროთ მოხუც—დედას ცრემლები!..

ძვირფასო უკრაინელებო!. კარგად ვიცი, რომ თქვენ უკვე შეასრულეთ მგოსნის სიტყვები, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ღვიძლი ძმების გარდა თქვენ გყავთ კიდევ სხვა ძმებიც... სულიერი ძმები. მათ უნდა დაუკავშირდეთ, დალოცოთ ისინი ძლიერი ხელებით და გადაკოცნოთ თავისუფალი ტუჩებით.

აი ერთ-ერთი ასეთი სულიერი ძმები ვართ ჩვენ, ქართველები—ისეთივე მრავალტანჯული ერი, როგორიცა ხართ თქვენ, უკრაინელებო!..

მივცეთ წილი ერთმანეთს. გაძლიერდით ჩვენით, გაგვაძლიერეთ თქვენით.. თავისუფლების და წმინდა მეცნიერების დროშის ქვეშ დეე აყვავდეს და გაფართოვდეს ჩვენი კავშირი ორივე ჩაგრულ ერის საკეთილდღეოთ...

ვათავებ ჩემს სიტყვას.. გთხოვთ მიიღოთ ჩემგან, როგორც თავისუფალ საქართველოს ღვიძლ შვილისაგან, ძმური სალამი..

გაუმარჯოს თავისუფალ და განახლებულ უკრაინას! Хай живе Украина!

ამის პასუხად მე უკვე მესმის შევჩენკოს ღირსეული შვილი-შვილებისაგან ხმა-მაღლა მოძახილი: გაუმარჯოს ღვთის მიერ კურთხეულ საქართველოსაც!. დიახ, გაუმარჯოს იმ ტურფა, ედემის მგზავს ქვეყანას, სადაც ახლა თქვენ იმყოფებით.. უსურვოთ სხვა ჩაგრულ ერებსაც ბედნიერი ცხოვრება.. გაუმარჯოს ყოველ ხალხის თავისუფლებას: იყოს მათ და ჩვენს შორის სრული ერთობა, მშვიდობა და სიყვარული.

საუკუნო ხსენება, უკვდავი სახელი და დიდება ისეთ მებრძოლ მგოსნებს, როგორიც იყვენ თქვენში ბატკო ტარას შევჩენკო. საქართველოში კი დაუვიწყარი სულმნათი აკაკი...

**ალ. გარსევანიშვილი.**

## სოც.-დემ. საოლქო ყრილობაზე მიღებული დადგენილებანი

**ეროვნული საკითხი.**

მუშათა კლასისა და გლეხობის ინტერესები მოითხოვს ისეთი უფლებრივი ნორმების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფს მათ თავისუფალ კულტურულ განვითარებას.

ეს ნორმები უნდა აშენდეს ხალხის უფლება მოსილებისა და საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრების ყველა დარგებში ხალხის თვითმართველობის გატარების მტკიცე საფუძველზე. სახელმწიფოს სრული დემოკრატიზაცია წარმოადგენს ძირითად მოთხოვნილებას რუსეთის მთელი დემოკრატიისა, რამაც რუსეთის ისტორიაში პირველათ შექმნა ნაციონალური საკითხის სახელმწიფოს საზომით გადაჭრის პოლიტიკური შესაძლებლობა.

ასეთ საერთო პოლიტიკური წყობილების ფარგალში ეროვნული კულტურის განვითარება შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნას რუსეთში მოსახლე თითოეულ ეროვნებისათვის ფართო შინაურ თვითმართველობის მინიჭებით.

ტერიტორიალურ თვითმართველობის საზღვრები მყარდება ამა თუ იმ ეროვნების რეალურ მოსახლეობის პრინციპის მიხედვით; ამასთანავე მიღებულ უნდა იქმნას მხედველობაში ყოფაცხოვრება და სამეურნეო მდგომარეობა. ეროვნულ საზღვრების შესაცვლელათ უნდა მოხდეს იმ ადგილების რეფერენდუმი, რომელთა საზღვრების გამორკვევა იწვევს უთანხმოებას. უმცირესობის ეროვნულ კულტურული თვითმართველობის უფლება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისთვის, უმცირესობისათვის, საჯარო უფლებრივ ხასიათის კულტურულ დაწესებულებათა მოწყობის უფლების მინიჭებით ის ამასთანავე კავშირს აბამს თავის ეროვნულ ტერიტორიალურ თვითმართველობასთან კულტურული საქმეების ერთათ საწარმოებლათ.

შერეულ თვითმართველობაში თითოეულ ეროვნებას ეძლევა სრული თვითმართველობა ეროვნულ კულტურულ საქმეებში და ამ სფეროში იგი უკავშირდება თავის ეროვნულ ტერიტორიალურ თვითმართველობას.

ამ ტერიტორიათა თვითმართველობა სახელმწიფოს მიერ გადაცემულ კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობს და მოქმედობს სრულიად დამოუკიდებლათ. მათ უფლებას შეადგენს:

1) ცენტრალურ პარლამენტისა და მმართველობის მიერ გამოცემულ ყველა კანონებისა და განკარგულებათა ცხოვრებაში გატარება.

2) ყველა ადგილობრივი ეროვნულ კულტურული საქმეები.

3) ეროვნული სკოლები (იმ პირობით, რომ სკოლა ჩამოშორებულია ეკლესიისაგან და დაწესებულია სახელმწიფოს მიერ სავალდებულო პირველ დაწყებით სწავლა-განათლება).

4) სახალხო ჯანმრთელობა და საზეითლო საქმე.

5) ადგილობრივ მნიშვნელობის ყველა ნაირი მიმოსვლის საშვალებანი.

6) ადგილობრივი ფოსტა, ტელეგრაფი და ტელეფონი.

7) ადგილობრივ სასოფლო მეურნეობისა და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

8) ადგილობრივ მუშათა და აგრარული კანონმდებლობა, როგორც შემდეგი განვითარება ძირითად რესპუბლიკანურ უფლებისა ამ სფეროში.

9) სასამართლო თვით უმაღლეს საკასაციო ინსტანციამდე.

10) ადმინისტრატიულ და სამეურნეო ერთეულების ორგანიზაცია.

11) სახაზინო, საუფლისწულო, სამონასტრო, საეკლესიო, საკაბინეტო და კერძო მემამულეთა (დაწესებულ ნორმაზე ზევით) მიწების ექსპლოატაცია თვითმართველობის საზღვრებში.

12) იმ წარმოებათ მუნიციპალიზაცია, რომლებსაც თვითმართველობისათვის საერთო სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

13) ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად თვითმართველობის მცხოვრებლებზე ხარჯის გაწერის წესისა და საშუალებათა გამონახვა.

14) კანონმდებლობითი ინიციატივის უფლება იმ სფეროში, რომელიც შეადგენს ცენტრის კომპეტენციას.

ამიერ-კავკასიის საერთო საკითხებს არჩევს ყველა თვითმართველობათა წარმომადგენლებისაგან შემდგარი ამიერ-კავკასიის საბჭო.

თითოეულ თვითმართველ ერთეულის კონსტიტუცია, როგორც ნაწილი რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკის საერთო კონსტიტუციისა, ვერ შეიცვლება ჩვეულებრივი კანონმდებლობითი წესით.

ყრილობა მოითხოვს კონსტიტუციაში შეტანილ იქნას ძირითადი კანონი, რომელიც აუქმებს ცალკე ეროვნების პრივილეგიებს, როგორიც არ უნდა იყვენ ისინი, და ნაციონალურ უმცირესობის უფლებათა ყოველგვარ დარღვევას.

პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვს რუსეთის ყველა ეროვნებათა მუშების გაერთიანებას პოლიტიკურ პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებში მხოლოდ ასეთი გაერთიანება ერთგვარ ორგანიზაციებში მისცემს პროლეტარიატს საშუალებას აწარმოოს ძლევამოსილი ბრძოლა საერთაშორისო კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიულ ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

## უცხოეთი.

შეიდემანის წერილი.

გაზ. „ფორვერტს“-ში გერმანეთის გამოჩენილი სოც. დემ. შეიდემანი სწერს: „როდესაც სტოკჰოლმში მივედით ჩვენმა უცხოელმა ამხანაგებმა გვითხრეს: „თქვენ მოწინავე და განათლებულ ქვეყნის შვილები ხართ, მაგრამ ... თქვენს ქვეყანაში უწინარესად ყოვლისა თქვენ უნდა დაამხოთ ძველი წესწყობილებაო: ამას ჩვენცა ვგრძნობთ და გვაკვირებს მთავრობის ყოყმანი და გამოურკვევლობა. მთავრობა უფრთხის და არ ამჟღავნებს ომის მიზნებს, დღეს მმართველობას განზრახული აქვს ყოველგვარი პასუხის გება მიმდინარე მომენტისა ჩვენ დაგვაკისროს. მიუხედავად სტოკჰოლმის კონფერენციის იმედისა, რომ იგი საჩქაროდ გადასწყვეტდა ომის და ზავის კითხვას ომი ისევ გახანგრძლივდება და ჩვენ მეოთხე საზამთრო კომპანიის მონაწილენი ვიქნებით. ჩვენს მოწინააღმდეგე ქვეყნებში უკვე ხდება სახელმწიფოს დემოკრატიზაცია. გერმანელები მოვალენი ვართ, სასწრაფოთ მოვახდინოთ სახელმწიფოს შინაური დემოკრატიზაცია რისთვისაც საჭიროა მთელი გერმანეთის ხალხის შეკავშირებული ამოქმედება“.

სტოკჰოლმის კონფერენცია.

სტოკჰოლმის კონფერენცია ავგისტოსთვის იქმნა გადადებული. გარდა ტეხნიკურ დაბრკოლებისა მიზეზათ ასახელებენ იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი ქვეყნის სოც.-დემ. არ ესწრებიან ყრილობას.

რედაქტორ-გამომცემელი
**დ. ბ. კვირკელია.**

## ექიმები:

**ვ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექიშვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

## რკინისგზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |
| ბათუმიდან საავარაკო დღის | | 2 ს. 48 | წ. |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. | „ |
| „ | ღამის — | 11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. 8 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |
| ბათუმისაკენ საავარაკო დღის | | 3 ს. 16 | წ. |

თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის

**განცხადება.**

დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა კაზმულ-სიტყვიერებითი ქრისტომატია **„ჩვენი ახალი მწერლობა“**, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ და გამოცემული მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიისა. წიგნში მოთავსებულია მე-19 საუკუნის ჩვენის საუკეთესო მგოსანთა და მწერალთა რჩეული ნაწარმოებნი (გრ. ორბელიანი, ნიკ. ბარათაშვილი, ვახტ. ორბელიანი, გ. ერისთავი, დან. ჭონქაძე, რაფ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალ. ჭავჭავაძე, გ. გურიელი და ანტ. ფურცელაძე). წიგნი დიდი ფორმატისაა (600 გვერდი), დაბეჭდილია თეთრსა და მტკიცე ქაღალდზე და ღირს 3 მან. და 10 შაურად. იყიდება ქუთაისში გამომცემელთან, თფილისში წ. კ. საზ. წიგნის მაღაზიაში.

აქვე იყიდება ამავე ამხანაგობის გამოცემა „ია **ეკალაძე. მოთხრობები**“, წიგნი 1, ფასი ათი შაური. 10—1.